ქალაქ ბათუმის საკრებულოს

დადგენილება №

2021 წლის --- თებერვალი

ქ. ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290[4] მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს :**

მუხლი 1

დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესი, თანახმად დანართისა.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **სულიკო თებიძე**

განმარტებითი ბარათი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტზე

ა) ზოგადი ინფორნაცია პროექტის შესახებ;

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი;

პროექტის შემუშავების ერთ-ერთი მიზეზია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილი ცვლილებები. ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე სამართალდარღვევის ფაქტის დაფიქსირებისას დაჯარიმების შესახებ დადგენილების აღსრულების მოქნილი მექანიზმის ჩამოყალიბება და პროცედურის დახვეწა, კერძოდ:

პროექტით რეგულირდება ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ სამართალდარღვევებზე გამოცემული დაჯარიმების შესახებ დადგენილების აღსრულების ახალი წესი. აღნიშნული ცვლილება განპირობებულია არსებული პრაქტიკით, რომელიც ცხადყოფს, რომ ვიდეოფირზე ან ფოტოფირზე დაფიქსირებული ჯარიმების აღსრულების მექანიზმი არ არის ეფექტიანი. კერძოდ, პრობლემურია პირისათვის საჯარიმო ქვითრის ჩაბარების პროცედურა. დღეის მდგომარეობით, ფოსტის კურიერი ვალდებულია პირის რეგისტრაციის მისამართზე მიიტანოს გზავნილი და ჩაუბარებლობის შემთხვევაში შესაბამისი წერილობითი უკუგზავნილი შეადგინოს. არსებობს რიგი მიზეზები რა შემთხვევაშიც სამართალდამრღვევს ვერ ბარდება საჯარიმო ქვითარი:

ერთის მხრივ, როდესაც პირის რეგისტრაციის მისამართი და ფაქტობრივი მისამართი სხვადასხვაა. ფოსტის მიერ რეგისტრაციის მისამართზე გაგზავნის შემდეგ აღარ არსებობს კონკრეტული ბერკეტი, რომელიც უზრუნველყოფს პირისათვის საჯარიმო ქვითრის ჩაბარებას.

მეორეს მხრივ კი, სამართალდამრღვევი მიმართავს სხვადასხვა ხერხს იმისათვის, რომ ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით 6 თვეა, თავი აარიდოს საჯარიმო ქვითრის ჩაბარებას.

არსებული მონაცემებით კალენდარული წლის განმავლობაში გამოწერილი ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით გამოცემული ჯარიმების რაოდენობის მხოლოდ ნაწილის აღსრულება ხდება. შესაბამისად, აღნიშნული ცხადყოფს, რომ აღსრულების ზემოთ დასახელებული მექანიზმი არაეფექტიანია.

ზემოხსენებული პრობლემის გადასაჭრელად და საჯარიმო ქვითრის ჩაბარების წესის დახვეწის მიზნით შემოღებულ იქნა მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობით ჯარიმების აღსრულების წესის ქმედით რეგულირებას.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მიზანი;

პროექტის მიზანს წარმოადგენს:

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებისა და ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების აღსრულების პროცედურების დახვეწა;
- ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე სამართალდარღვევის ფაქტის დაფიქსირებისას დაჯარიმების შესახებ დადგენილების აღსრულების მოქნილი და ეფექტიანი მექანიზმის ჩამოყალიბება;

. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებითა და 135[1] მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცება.

ა.გ) დადგენილების პროექტის არსი;

პროექტით რეგულირდება საჯარიმო ქვითრის ჩაბარების ახალი მექანიზმი - საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნება. კერძოდ, ფოსტით საჯარიმო ქვითრის გაგზავნის გზით ჯარიმის ჩაუბარებლობლობის შემთხვევაში ა(ა)იპ ,,ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია" უზრუნველყოფს აღნიშნული საჯარიმო ქვითრის გამოქვეყნებას ოფიციალურ ვებ-გვერდზე. საჯაროდ გამოქვეყნების დღიდან 30-ე დღეს საჯარიმო ქვითარი სამართალდამრღვევისათვის ჩაბარებულად ითვლება. აღნიშნული უფრო მოქნილს გახდის კონკრეტულ სამართალდარღვევებზე ჯარიმის აღსრულების პროცედურებს და შეამცირებს ჯარიმის გადახდისაგან თავის არიდების რისკს.

ბ) დადგენილების პროექტის ფინანსური დასაბუთება;

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

დადგენილების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) დადგენილების პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

დადგენილების პროექტის მიღებით გაიზრდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის გამოწერილი საჯარიმო ქვითრების ჩაბარების რაოდენობა და პარკირების ადმინისტრირების სფეროში ეფექტური გახდება საქმიანობა. ამასთან, მინიმუმ 2-ჯერ გაიზრდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის გამოწერილი საჯარიმო ქვითრების ჩაბარების მაჩვენებელი, რაც გაზრდის ბიუჯეტის შემოსულობებს.

ბ.გ) დადგენილების პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

დადგენილების პროექტის მიღება არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

გ) დადგენილების პროექტის მიმართება საქართველოს კონსტიტუციას და მოქმედ კანონმდებლობისადმი;

დადგენილების პროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას.

დ) დადგენილების პროექტის ავტორი:

ა(ა)იპ ,,ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია".

დ.ა) დადგენილების პროექტის ინიციატორი:

ა(ა)იპ ,,ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია".

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესი

მუხლი 1

ეს წესი განსაზღვრავს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ პროცედურებს, აგრეთვე ამ წესის აღსრულების მიზნით ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია"-ს მიერ განსახორციელებელ ღონის-ძიებებს.

მუხლი 2

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ფაქტთან დაკავშირებით ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია" საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 290[4] მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ შესაბამის პირს (შემდგომში – პირი) საჯარიმო ქვითარს უგზავნის ფოსტის მეშვეობით, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

2. თუ პირს საჯარიმო ქვითარი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით ვერ ჩაჰბარდა, საჯარიმო ქვითრის მიმტანი პირი გზავნილზე სათანადო აღნიშვნას აკეთებს და საჯარიმო ქვითარს აბრუნებს. დაბრუნებიდან არაუადრეს 30-ე დღისა და არაუგვიანეს მე-60 დღისა აღნიშნულ პირს ეგზავნება განმეორებით, იმავე მისამართზე.

3. საჯარიმო ქვითარი, პირისათვის განმეორებით ჩაუბარებლობის შემთხვევაში, ბრუნდება ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია"-ში, მისი საჯაროდ გამოქვეყნების მიზნით.

მუხლი 3

1. პირისათვის საჯარიმო ქვითრის განმეორებით ჩაუბარებლობის შემთხვევაში, ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია" საჯარიმო ქვითარს დაუყოვნებლივ აქვეყნებს საჯაროდ, ოფიციალურ ვებგვერდზე – „batumitransport.ge", შესაბამის ველში.

2. საჯარიმო ქვითრისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ამსახველი ვიდეოფირის ან/და ფოტოფირის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნება ხდება ავტომატურად, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით.

3. საჯარიმო ქვითარი პირისთვის ჩაბარებულად მიიჩნევა მისი ამ წესით დადგენილი წესით საჯაროდ, ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

მუხლი 4

1. საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნება ხდება შემდეგი წესით: ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია"-ს ოფიციალურ ვებგვერდზე სპეციალურად ამ მიზნით გამოყოფილ ადგილზე თავსდება იმ სატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო სანომრე ნიშნების სრული სია, რომელთა მფლობელზეც/მესაკუთრეზეც გამოქვეყნების მომენტისთვის გამოწერილია საჯარიმო ქვითარი და იგი არ ჩაჰბარებია პირს ამ წესის მე-2 მუხლის შესაბამისად.

2. დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო სანომრე ნიშნის მონიშვნის გზით მოძებნოს და გაეცნოს ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ფაქტთან დაკავშირებით გამოწერილ საჯარიმო ქვითარს.

3. ოფიციალურ ვებგვერდზე საჯარიმო ქვითართან ერთად ასევე თავსდება შესაბამისი ბმული, სადაც დადგენილი წესების დაცვით შესაძლებელია კონკრეტული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ამსახველი ვიდეოფირის ან/და ფოტოფირის ნახვა.

მუხლი 5

საჯაროდ გამოქვეყნებული საჯარიმო ქვითრის გაცნობისა და მის შესახებ ინფორმაციაზე სწრაფი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია“ საჯარიმო ქვითრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების თაობაზე ინფორმაციას, მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით, უგზავნის პირს, თუ მათ მონაცემთა ბაზაში არსებობს ამ პირის საკონტაქტო ინფორმაცია.

მუხლი 6

1. საჯარიმო ქვითარი ოფიციალური ვებგვერდიდან ავტომატურად წაიშლება მისი ამ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით, გამოქვეყნებიდან 90 კალენდარული დღის გასვლისთანავე, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი შემთხვევისა.

2. პირის მიერ ჯარიმის გადახდის შემთხვევაში საჯარიმო ქვითარი ოფიციალური ვებ გვერდიდან იშლება ჯარიმის გადახდის დადასტურებისთანავე.